საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სამუშაო ძალის მაჩვენებლები (დასაქმება და უმუშევრობა)

2025 წლის II კვარტალი

19.08.2025
www.geostat.ge

19.08.2025

სამუშაო ძალის მაჩვენებლები
(დასაქმება და უმუშევრობა)
2025 წლის II კვარტალი

2025 წლის II კვარტალში საქართველოში უმუშევრობის დონე წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 0.6 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 14.3 პროცენტი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია უმუშევრობის დონე 2020-2025 წლებში, კვარტალების მიხედვით.

დიაგრამა №1

უმუშევრობის დონე საქართველოში

(%)



2025 წლის II კვარტალში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით დაქირავებულთა რიცხოვნობა გაიზარდა 4.7 ათასი კაცით (0.5%) და 940.5 ათასს მიაღწია, ხოლო თვითდასაქმებულთა რიცხოვნობა 29.3 ათასით შემცირდა (6.5%) და 422.2 ათასი შეადგინა. ამავე პერიოდში უმუშევართა რაოდენობა გაიზარდა 7.9 ათასით (3.6%) და 227.6 ათასი შეადგინა.

2025 წლის II კვარტალში სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე (სამუშაო ძალის წილი 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობაში) წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 0.3 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 54.1 პროცენტით განისაზღვრა, ხოლო დასაქმების დონე შემცირდა 0.6 პროცენტული პუნქტით და 46.4 პროცენტი შეადგინა. სამუშაო ძალის მონაწილეობის

დონე შემცირებულია როგორც ქალაქის ისე სოფლის ტიპის დასახლებებში, შესაბამისად 0.3 პროცენტული პუნქტით და 0.4 პროცენტული პუნქტით. დასაქმების დონე ქალაქის ტიპის დასახლებებში შემცირებულია 1.4 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში გაზრდილია 0.5 პროცენტული პუნქტით და შესაბამისად 46.5 პროცენტს და 46.3 პროცენტს შეადგენს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სამუშაო ძალის მონაწილეობის დონისა და დასაქმების დონის მაჩვენებლები 2020-2025 წლებში, კვარტალების მიხედვით.

დიაგრამა №2

სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე და დასაქმების დონე

(%)



19.08.2025

2025 წლის II კვარტალში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით დაქირავებულთა წილი დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში 1.6 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 69.0 პროცენტი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დასაქმებულთა განაწილება დასაქმების სტატუსის მიხედვით 2020-2025 წლებში, კვარტალურ ჭრილში.

დიაგრამა №3

დასაქმებულთა განაწილება დასაქმების სტატუსის მიხედვით

(%)



19.08.2025

2025 წლის II კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, უმუშევრობის დონე საქალაქო ტიპის დასახლებებში გაზრდილია 2.1 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში შემცირებულია 1.5 პროცენტული პუნქტით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია უმუშევრობის დონე ქალაქ-სოფლის მიხედვით 2020-2025 წლებში, კვარტალურ ჭრილში.

დიაგრამა №4

უმუშევრობის დონე ქალაქ-სოფლის მიხედვით

(%)



უმუშევრობის დონე ტრადიციულად მაღალია კაცებში, ქალებთან შედარებით. 2025 წლის II კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, აღნიშნული მაჩვენებელი ქალებში გაიზარდა 1.3 პროცენტული პუნქტით, ხოლო კაცებში უცვლელი დარჩა და შესაბამისად 12.2 პროცენტს და 15.9 პროცენტს შეადგენს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია უმუშევრობის დონე სქესის მიხედვით 2020-2025 წლებში, კვარტალურ ჭრილში.

დიაგრამა №5

უმუშევრობის დონე სქესის მიხედვით

(%)



19.08.2025

სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე ქალებთან შედარებით მაღალია კაცებში. 2025 წლის II კვარტალში აღნიშნული მაჩვენებელი ქალებში 43.7 პროცენტს, ხოლო კაცებში 66.2 პროცენტს შეადგენდა. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე ქალებში შემცირებულია 0.7 პროცენტული პუნქტით, ხოლო კაცებში გაზრდილია 0.1 პროცენტული პუნქტით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე სქესის მიხედვით 2020-2025 წლებში, კვარტალურ ჭრილში.

დიაგრამა №6

სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე სქესის მიხედვით

(%)



19.08.2025

2025 წლის II კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, დასაქმების დონე ქალებში შემცირებულია 1.2 პროცენტული პუნქტით, ხოლო კაცებში გაზრდილია 0.1 პროცენტული პუნქტით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დასაქმების დონე სქესის მიხედვით 2020-2025 წლებში, კვარტალურ ჭრილში.

დიაგრამა №7

დასაქმების დონე სქესის მიხედვით

(%)



საკონტაქტო პირი:

ვასილ წაქაძე, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (600), E-mail: vtsakadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge